

შპს თიკო 448388717
ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით

დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2. სრული შემოსავლების ანგარიშგება
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
4. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
5. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს „თიკო“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2018წ

	31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი
აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	182488	128313
სავაჭრო მოთხოვნები	430484	213108
გადახდილი ავანსები	0	0
მარაგები	966750	863242
მზა პროდუქცია	966750	863242
სხვა	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	58890	3890
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	39723	38517
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტიტუტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	1678335	1247070
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	873730	729213
საგადასახადო ვალდებულებები	0	-7825
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	75448
სულ ვალდებულებები	873730	796836

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	0	0
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	804605	450234
სულ საკუთარი კაპიტალი	804605	450234

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1678335	1247070
---	----------------	----------------

შპს „თიკო“-ს სრული შემოსავლების ანგარიშგება

31.12.2018
ლარი

ნეტო ამონაგები

საქონლის გაყიდვიდან	21384548
მომსახურების გაწევიდან	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0
სხვა	0

სულ ნეტო ამონაგები **21384548**

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

საწყისი მარაგები	(863242)
მარაგების შესყიდვა	(20704486)
საბოლოო მარაგები	966750

ნეტო თვითღირებულება **(20600978)**

საერთო მოგება **783570**

სხვა შემოსავალი	3313
დასაქმებულთა ანაზღაურება	(255000)
საიჯარო ქირა	(43500)
საპროცენტო ხარჯი (სესხის პროცენტი)	0
საპროცენტო შემოსავალი	0
ცვეთა და ამორტიზაცია	(13219)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(68372)

სულ საოპერაციო ხარჯები **(376778)**

საოპერაციო მოგება **406792**

მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) **406792**

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	450234
კაპიტალის გაზრდა	0
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)	(85000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	406792
კაპიტალის სხვა ცვლილებები	32579

შპს „თიკო“-ს ფულადი სახსრების მოძრაობა

31.12.2018

ლარი

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	24866652
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(24812477)
<i>წმინდა ზრდა/კლება ფულსა და ფულის ექვივალენტებში</i>	<i>54175</i>
სავალუტო კურსის ეფექტი	0
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	128313
<i>ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</i>	<i>182488</i>

შპს „თიკო“-ს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

31.12.2018

ლარი

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	450234
კაპიტალის გაზრდა	0
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)	(85000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	406792
კაპიტალის სხვა ცვლილებები	32579
კაპიტალის ნაშთი 31/12/2018-ის მდგომარეობით	804605

ზოგადი ინფორმაცია

შპს „თიკო“ (შემდგომში - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის 21 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 448388717. კომპანიის იურიდიული მისამართია ბათუმი ლეონიძის #2 და საქმიანობის ფაქტობრივი მისამართია ბათუმი ხახულის 37 ა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვები პროდუქტებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა. შპს „თიკო“ საქართველოს ბაზარზე ახორციელებს პროდუქციის შეძენას და ისევ ადგილობრივ ბაზარზე ახდენს მის რეალიზაციას.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია მანუჩარ ფუტყარაძე (პ/ნ 61006010530). კომპანიის დირექტორია როინ აბაშიძე (პ/ნ 61009002617). კომპანიის 2018 წლის განმავლობაში იყენებდა საშუალოდ 20 თანამშრომელს(დირექტორი,ბუღალტერი ოპერატორები,მძროლები და საწყობის თანამშრომელები)

კომპანია ფინანსური აღრიცხვას აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი. კომპანიას შვილობილი საწარმო არ გააჩნია.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანის და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. ძირითად საშუალებებს ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება.

ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად.

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	კომპანიას საკუთარი შენობები არ გააჩნია
მანქანა დანადგარები	არ გააჩნია
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5-7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-7 წელი

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

კომპანიას რადგან არ გააჩნია საკუთარი შენობა-ნაგებობა აქედან გამომდინარე სამეურნეო ოპერაციებისათვის იყენებს ფიზიკური პირისგან იჯარით აღებულ ფართს.

მარაგები

მარაგები შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. კომპანია მარაგების თვითღირებულების გამოსათვლელად იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისაგან მისაღები ფულადი სახსრები არადისკონტირებული ღირებულებით.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მომწოდებლისაგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება მომწოდებლისთვის გადასახდელი არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულება და ოვერდრაფტები

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასესხო ვალდებულება არ ქონია ფინანსური ინსტიტუტების მიმართ .

ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მიყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 31 დეკემბერი 2018

შრომის ანაზღაურება	255000
ცვეთა	13219
საიჯარო ქირა	43500
ტრანსპ. მიწოდ. ხარჯი	6888
ავტომანქანების მიმდნარე ხარჯი	11780
დაცვის მომსახურება	1949
კომუნიკაციის ხარჯები	551
ბანკის ხარჯი	555
კომპიუტერის ხარჯი	395
საკანცელარიო ხარჯი	3829
საწვავის ხარჯი	27103
კომუნალური ხარჯი	6414
სესხის ხარჯი	4067
არასაოპერაციო ხარჯი	518
სხვა	4323
სულ	380091

სახელფასო განაცემები

შრომის ანაზღაურება(ხელფასი), ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისათვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით. სსკ-ის მიხედვით საწარმოსთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტია : განაწილებული მოგება ,გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, კოდექსით დადგენილი ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2019 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი:

როინ აბაშძე

ბუღალტერი:

ირაკლი მამულაძე

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2019 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი:



როინ აბაშიძე

ბუღალტერი:



ირაკლი მამულაძე

